# განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზები*

## ეკონომიკური ზრდა




**პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი 2018 წლისათვის 5.1%-ს, ხოლო 2019 წლისათვის 5.3%-ს შეადგენს. საყურადღებოა, რომ მიმდინარე წლის ივნისში პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნებული ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები ანალოგიური პერიოდებისათვის, შესაბამისად, 5.2%-სა და 5.5%-ს უტოლდებოდა.**

| | **2018** | | | | **2019** | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ივნისი, 2018 | | სექტემბერი, 2018 | | ივნისი, 2018 | | სექტემბერი, 2018 | |
| | მთავრობა | საბიუჯეტო ოფისი | მთავრობა | საბიუჯეტო ოფისი | მთავრობა | საბიუჯეტო ოფისი | მთავრობა | საბიუჯეტო ოფისი |
| რეალური მშპ (%-ული ზრდა) | 4.5% | 5.2% | 5.0% | 5.1% | 5.0% | 5.5% | 4.5% | 5.3% |
| სამომხმარებლო ფასების ინფლაცია | 3.5% | 3.1% | 3.5% | 2.9% | 3.0% | 3.2% | 3.0% | 3.2% |
| მშპ დეფლატორი | 3.5% | 3.9% | 4.5% | 4.1% | 3.0% | 3.8% | 3.5% | 3.8% |
| ნომინალური მშპ (მლნ ლარი) | 41,146 | 41,562 | 41,742 | 41,615 | 44,499 | 45,541 | 45,147 | 45,491 |

* პროგნოზები ასახავს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის წლიური მაკროეკონომიკური პროგნოზების ნაწილობრივ განახლებას, მთავრობის მიერ წარდგენილი 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული საპროგნოზო მაჩვენებლების (პირველი წარდგენა) და ეკონომიკური გარემოს მიმდინარე დინამიკის გათვალისწინებით. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საბოლოო განახლებული წლიური მაკროეკონომიკური პროგნოზები საშუალოვადიანი პერიოდისათვის გამოქვეყნდება მიმდინარე წლის 6 დეკემბერს, სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური გარემოს საპროგნოზო მაჩვენებლების განახლების შემდგომ.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
დამოუკიდებელი ანალიზი
სახელმწიფო ფინანსების მდგრადობის ხელშეწყობისათვის

WWW.PBO.PARLIAMENT.GE

**დამატებითი ინფორმაცია:**

- წლიური მაკროეკონომიკური პროგნოზები
- განმარტება მაკროეკონომიკური პროგნოზების მოდელის შესახებ